პრეს-რელიზი

შემოქმედებითი ევროპის პროექტის CRAFTING EUROPE-ის ოფიციალურმა

ვებ-გვერდმა ფუნქციონირება დაიწყო

14 ივლისი, 2020

www.craftingeurope.com

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი გაცნობებთ, რომ 2020 წლის 13 ივლისიდან შემოქმედებითი ევროპის პროექტის Crafting Europe-ის ოფიციალურმა ვებ-გვერდმა: www.craftingeurope.com ფუნქციონირება დაიწყო.

აღნიშნული ვებ-გვერდის საშუალებით რეწვის ოსტატებს საქართველოდან და ევროპის სხვა ქვეყნებიდან შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ პროგრამის მიმდინარეობას და მასში მონაწილეობის შესაძლებლობებს. პროექტი ხორციელდება ევროპის რვა ქვეყანაში. ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი (Georgian Arts & Culture Center) შემოქმედებითი ევროპის სამწლიანი პროექტის Crafting Europe-ის ერთ-ერთი პარტნიორი ორგანიზაციაა.

მაკა დვალიშვილი, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის დირექტორი:
„მოხარული ვართ, რომ პარტნიორობას ვუწევთ ესოდენ მნიშვნელოვან გაერთიანებას და შემოქმედებითი ევროპის პროგრამის ფარგლებში შესაძლებლობა გვეძლევა ევროპის მასშტაბით წარმოვადგინოთ და განვავითაროთ ქართული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება და რეწვის სფერო.“

პროექტი Crafting Europe ხელს უწყობს შემოქმედებით პროცესში ინოვაციური ფორმებისა და ახალი ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციას. აღნიშნული პროექტის წამოწყება განაპირობა ევროპის მასშტაბით რეწვის სექტორის გაძლიერების აუცილებლობამ, რომელიც ცხრა ექსპერტ-ორგანიზაციის თანამშრომლობით ხორციელდება.

პროექტის მიზანია:

- წარმოაჩინოს რეწვის სექტორის ეკონომიკური და შემოქმედებითი მნიშვნელობა
- მხარი დაუჭიროს რეწვის ოსტატებს
- იმუშაოს რეწვის სექტორში არსებული გამოწვევების გადაწყვეტაზე

შემოქმედებითი ევროპის პროექტის Crafting Europe-ის მთავარი მიზანია დაეხმაროს როგორც დამწყებ, ასევე გამოცდილ ოსტატებს თავისი შესაძლებლობების და პროფესიული უნარების განვითარებაში. პროექტის ფარგლებში ჩატარებული სასწავლო კურსები, სემინარები და ვებ-ტრენინგები უახლესი ტექნოლოგიური შესაძლებლობების გაცნობით ხელს შეუწყობს ახალგაზრდა ოსტატების და დიზაინერების მოზიდვას და შემოქმედებითი საქმიანობის რეწვის სფეროსთან დაკავშირებას.

შემოქმედებითი ევროპის პროექტის Crafting Europe-ის ვებ-გვერდზე გაეცნობით რეწვის სფეროში არსებულ უახლესს შესაძლებლობებს და იხილავთ ინფორმაციას პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ:

- **პროფესიული გამოცდილების პროგრამა (Crafting Business)**
  პროგრამა მოიცავს ტრენინგებს, რომლის მიზანია ტრადიციული რეწვის, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების, ხელნაკეთი პროდუქციის სფეროში მომუშავე დამწყები მეწარმეებისთვის ბიზნეს და შემოქმედებითი უნარების განვითარება.

- **iAtelier - ტექნოლოგიები და ინოვაციური პრაქტიკა**
  პროგრამის მიზანია რეწვის სფეროში ინოვაციური, ტექნოლოგიურად განვითარებული საშუალებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა და ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაცია.

- **რეწვის სექტორის კვლევა**
  ევროპული რეწვის სექტორის მნიშვნელობის სრულყოფილად შეფასების და ხელშეწყობის მიზნით პროექტის Crafting Europe-ის ფარგლებში ჩატარდება კვლევა რეწვის სექტორის ეკონომიკური მნიშვნელობისა და შესაძლებლობების შესახებ. კითხვარები და კვლევის ფარგლებში მოძიებული ინფორმაცია იქნება საჯარო და გამოქვეყნდება ვებ-გვერდზე.

შემოქმედებითი ევროპის პროექტის Crafting Europe-ის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები საქართველოში და პარტნიორ ქვეყნებში მოიცავს რეზიდენციებს, სასწავლო კურსებს, კონფერენციებს და ასე შემდეგ. დასკვნითი გამოფენა და ღონისძიება ჩატარდება 2022 წლის ნიდერლანდური დიზაინის კვირეულის ფარგლებში.

შემოქმედებითი ევროპის პროექტის Crafting Europe-ის პრიორიტეტებია:

- სექტორის განვითარების პოლიტიკის შემუშავებაში ტრანსნაციონალური თანამშრომლობის ხელშეწყობა;
- ევროპაში რეწვის და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების წარმომადგენლების და სფეროში მოღვაწე ორგანიზაციების შესაძლებლობის გაძლიერება უნარების ამაღლების და ბიზნეს მოდელების განვითარების ინოვაციური გზების საშუალებებით;
- სფეროს წარმომადგენელთა უნარების გამრავალფეროვნება მათი პროფესიული მოღვაწეობის გამდიდრების და სამუშაო ბაზარზე წვდომის გაუმჯობესებისთვის.

Crafting Europe-ს ღონისძიებები:

- პროფესიული გამოცდილების პროგრამა (Crafting Business) ტრენინგები
- iAtelier ღონისძიებები
- რეზიდენციები რვა პარტნიორ ქვეყანაში
- კონფერენციები
- გამოფენა
- კვლევა რეწვის სექტორის ეკონომიკური ღირებულების შესახებ
- ციფრული რესურსები Crafting Europe-ის ვებ-გვერდზე
- ევროპული რეწვის სექტორის სტიმულირება
- რეწვის ოსტატების მხარდაჭერისა და პროფესიული უნარების გაძლიერების მიზნით შესაძლებლობათა გაზრდა

Crafting Europe-ის პარტნიორი ორგანიზაციები:

- Design and Crafts Council Ireland (DCCI) – ირლანდია (მთავარი პარტნიორი)
- Artex – იტალია
- Crafts Council (CCUK) – დიდი ბრიტანეთი
- Limerick Institute of Technology – ირლანდია
- CEARTE – პორტუგალია
- EOI-Fundesarte – ესპანეთი
- Crafts Council Netherlands (CCNL) – ნიდერლანდები
- Handicraft Chamber of Ukraine - უკრაინა
- Georgian Arts and Culture Centre (GACC) – საქართველო

დამატებითი დეტალებისთვის ეწვიეთ **:** https://www.craftingeurope.com/
Facebook-სა Crafting Europe და **Instagram**-ზე @craftingeurope

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი
მისამართი: ნიკო ნიკოლაძის 7, თბილისი, 0108, საქართველო
ელ.ფოსტა: gacc@gaccgeorgia.org
ტელ:(+995 32) 2931335

რა არის Crafting Europe?

'Crafting Europe' შემოქმედებითი ევროპის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტია, რომლის ერთ-ერთი მიზანი რეწვის და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების თანამედროვე პროდუქციის შექმნაში ტრადიციულ მეთოდებთან ერთად თანამედროვე ტექნოლოგიების ჩართვის წახალისება. პროექტი ხორციელდება ევროპის ცხრა ექსპერტ-ორგანიზაციასთან თანამშრომლობით.

ინფორმაცია Crafting Europe-ის პროექტის პარტნიორების შესახებ:

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი (Georgian Arts & Culture Center)
ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი 25 წელია (1995 წლიდან) მუშაობს ტრადიციული რეწვისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების დაცვასა და მდგრად განვითარებაზე. ინოვაციური მიდგომის მხარდაჭერით ცენტრი ხელს უწყობს კულტურის სექტორის ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობას. ცენტრი ასევე აქტიურ მონაწილეობას იღებს მატერიალური და არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვაში და ეწევა საგალერეო საქმიანობას.

Design & Crafts Council Ireland (DCCI)
ირლანდიის დიზაინისა და რეწვის საბჭო არის ეროვნული სააგენტო, რომელიც მიზნად ისახავს ირლანდიელი დიზაინერებისა და ოსტატების ეკონომიკურ განვითარებას, ინოვაციების სტიმულირებას, დიზაინის განვითარების ხელშეწყობას და კულტურის სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. ირლანდიის დიზაინისა და რეწვის საბჭოს ღონისძიებებს აფინანსებს Enterprise Ireland-ის ბიზნესის, მეწარმეობის და ინოვაციის განყოფილება. ამჟამად საბჭოს წევრია 569 ორგანიზაცია და 3.000-ზე მეტი დარეგისტრიტებული მომხმარებელი.

Artex- Centre for Artistic & Traditional Handicrafts in Tuscany
Artex ხელს უწყობს იტალიის ტოსკანის რეგიონში ტრადიციული და სახელოვნებო სექტორის განვითარებას. არტექსი დაფუძნდა 1987 წელს, CNA-ს და Confartigianato რეწვის ასოციაციის მიერ. რეწვის სექტორის განვითარებისა და ეკონომიკური მდგრადობის გაძლიერების მიზნით არტექსმა არაერთი პროექტი განახორციელა.

The Crafts Council
რეწვის საბჭო მხარს უჭერს თანამედროვე და მაღალი ხარისხის როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო წარმოებების განვითარებას. ორგანიზაციის მიზანია გააძლიეროს თანამედროვე რეწვის ეკონომიკური მდგრადობა და განავითაროს შესაბამისი ინფრასტრუქტურა. რეწვის საბჭო მსოფლიო რეწვის საბჭოს წევრია.

Limerick School of Art & Design(LIT)

ლიმერიკის ხელოვნებისა და დიზაინის სკოლა არის უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტი. მათი სწავლების ფილოსოფია ემყარება თეორიული და პრაქტიკული სწავლის შერწყმაზე. LIMERIK– ის LIMAD– ის ხელოვნებისა და დიზაინის სკოლის შემადგენლობაში შედის დიზაინის დეპარტამენტი, რომელიც განახორციელებს რეწვის კურსებს. LIT-ს ჯილდოთი აღნიშნული რეპუტაცია აქვს შემდეგ დარგებში: მოდის დიზაინი, მოდა და ქსოვილები, ვიზუალური კომუნიკაცია, ფერწერა, ბეჭდვითი პროდუქციის დიზაინი, კერამიკა, ქანდაკება და შერეული მედია და მასწავლებლების პროფესიული განათლება.

Cearte

Cearte არის პროფესიული განათლების ცენტრი პორტუგალიაში, რომელიც ხელოვნების და რეწვის სფეროში 1986 წლიდან მუშაობს. ცენტრი აგრეთვე საქმიანობს კულტურის მემკვიდრეობისა და შემოქმედებითი ინდუსტრების სფეროში. ხელს უწყობს პროფესიული უნარ-ჩვევების გაღრმავებას, ინოვაციების დანერგვას, ხელოსნური წარმოების მდგრად განვითარებას და ზოგადად, პორტუგალიელი ოსტატების კვალიფიკაციის ამაღლებას.

EOI-Fundesarte

EOI-Fundesarte არის ესპანეთის წამყვანი ორგანიზაცია, რომელიც 1981 წლიდან რეწვის განვითარებასა და პოპულარიზაციაზე ზრუნავს. როგორც EOI ფონდის ნაწილი დაკავშირებულია ინდუსტრიის, ვაჭრობის და ტურიზმის სამინისტროსთან. მათი პროგრამის პრიორიტეტია რეწვის პროდუქციისა და წარმოების მდგრადი განვითარების ხელშეწყობა.

Crafts Council Netherlands

ნიდერლანდების რეწვის საბჭო არის თანამედროვე რეწვის მრავალფუნქციური პლატფორმა. ეს არის ადგილი, სადაც ხელოვნება, მოდა, დიზაინი და კულტურული მემკვიდრეობა ერთმანეთს უკავშირდება; სადაც ზრუნავენ რეწვის განვითარებასა და მომავალი თაობებისთვის გადაცემაზე. CCNL რეწვის სფეროში მოღვაწე ყველა წამყვან ორგანიზაციასთან თანამშრომლობს როგორც მკვლევარი, ორგანიზატორი, გზამკვლევი, კონცეფციის შემქმნელი და დამაკავშირებელი.

The Handicraft Chamber of Ukraine

უკრაინის რეწვის პალატა არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც 2009 წლიდან ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე მოღვაწეობს. ორგანიზაციის მთავარი მიზანია წარმოების და მომსახურების სფეროში მცირე და საშუალო მეწარმეების უფლებებისა და ინტერესების დაცვა.